შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2026 წლის „_04___„ __მარტი____№11 დადგენილება

LEPL SHOTA MESKHIA ZUGDIDI STATE UNIVERSITY

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

ზუგდიდი

2026 წელი

მუხლი1. ზოგადი დებულებები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამართლებრივი დოკუმენტია, რომლითაც განსაზღვრულია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული წესები.

უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ შემუშავებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

ეს წესი არეგულირებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს (სტუდენტის სტატუსის მოპოვება, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა, მობილობა/შიდამობილობა, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, პროცედურები და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვა საკითხები).

წინამდებარე წესით ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ყველა პირი.

უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის - ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება შეუძლიათ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე; საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ასევე შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.

2. უნივერსიტეტში ჩარიცხვის წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტის მიერ უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა.

2.[1] ადმინისტრაციული რეგისტრაციისას წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატი) დედანი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) 2 ფოტოსურათი 3X4, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირთათვის);

2.[2] ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულების შემდეგ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება აბიტურიენტების უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ, რომელიც

გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამოცემიდან 15 დღის ვადაში;

3. ის პირი, რომელმაც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, მაგრამ ვერ მოხვდა აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ რექტორის ერთიან აქტში დადგენილ ვადაში უნივერსიტეტისთვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე

4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე ზოგადი უნარების ტესტს, ან აფხაზურ ან ოსურ ენას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

5. საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს მესამე[1] პუნქტში აღნიშნული წინაპირობის შესრულების შემდეგ ასევე უფლება აქვთ ჩაირიცხონ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

6. **ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე** სტუდენტის სტატუსის მოპოვება დასაშვებია:

ა)უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ)უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა),რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით (არანაკლებ 75 დღე) ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები უსდ-ში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის

მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, რომელიც ტარდება წელიწადში ორჯერ.

7. აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ მუხლის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა სწავლების ენის- ქართული ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე. აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სერტიფიკატი ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ ან ჩააბარონ გამოცდა ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება შესაძლებელია უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის/არაქართულენოვანთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში.

8. იმ პირისთვის, რომელსაც არ ექნება წარმოდგენილი ქართული ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინიშნება გამოცდა ქართულ ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) გამოცდის ორგანიზაციულ საკითხებს აგვარებს ფაკულტეტი. გამოცდა ბარდება საგამოცდო დარგობრივი კომისიის წინაშე. შეფასების 100 ქულიანი სისტემიდან გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. ინფორმაცია გამოცდის დროისა და აუდიტორიის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

9. ქართული ენის საგამოცდო დარგობრივი კომისიის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან არანაკლებ დოქტორის ან/და მასთან გათანაბრებული მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია შესაბამის სამეცნიერო სფეროში გამოცდილება (დასტურდება პირადი საქმე/CV), ხასიათდება ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

10. გამოცდის ვადებს, გამოცდის ფორმატსა და საგამოცდო დარგობრივი კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო. გამოცდის ვადებს, გამოცდის ფორმატსა და საგამოცდო დარგობრივი კომისიის შემადგენლობას ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

11. მოქალაქემ საპრეტენზიო განაცხადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ქართული ენის გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინოს შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში (10:00-დან 17:00 საათამდე) უნივერსიტეტის კანცელარიაში. აპელაციის შედეგები ეცნობება ელ. ფოსტის, ტელეფონის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

12. საბაკალავრო, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრმამებზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებსა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ერთიანი

ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის დასრულების, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული შეფასების საფუძველზე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის ათვისების დადასტურების შემდეგ.

13. უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალობის სამაგისტრო/შიდა გამოცდის შედეგების, უნივერსიტეტსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

14. შიდა გამოცდა ტარდება სპეციალობაში. კონკურსანტი საკონკურსო გამოცდას სპეციალობაში აბარებს დარგობრივ კომისიას. სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით („სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წესი“ და „მაგისტრატურის დებულება“) განსაზღვრული შეფასემის 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება შეფასების მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

15. მაგისტრატურაზე ჩარიცხვის წინაპირობაა B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნა ან შესაბამისი სერტიფიკატის ფლობა. კონკურსანტისთვის, რომელსაც არ ექნება წარმოდგენილი უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინიშნება გამოცდა უცხო ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა). გამოცდა ბარდება საგამოცდო დარგობრივი კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. გამოცდა ჩატარდება მაგისტრატურაში მიღების ვადების შესაბამისად. ინფორმაცია გამოცდის დროისა და აუდიტორიის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

16. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უცხოელი მოქალაქისათვის, რომელსაც არ ექნება წარმოდგენილი ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინიშნება გამოცდა ქართულ ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა), რომელიც ბარდება საგამოცდო დარგობრივი კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. გამოცდა ჩატარდება მაგისტრატურაში მიღების ვადების შესაბამისად. ინფორმაცია გამოცდის დროისა და აუდიტორიის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

17. სპეციალობის შიდა სამაგისტრო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი მიმართულების დარგობრივი კომისია.

18. მაგისტრანტობის კანდიდატის უნივერსიტეტში ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით.

19. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი თუ პირმა სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ მიიღო შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში

20. „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებულ“ პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.
21. ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის საფუძველზე.

22. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით.
23. სტუდენტების საგრანტო კონკურსში გრანტის მოსაპოვებლად/გასაუმჯობესებლად მონაწილეობის საკითხს აწესრიგებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა.
24. უნივერსიტეტსა და ჩარიცხულ სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის პირობებს ადგენს უნივერსიტეტი.

მუხლი 3. ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:
1. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს იმ აბიტურიენტს, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე ან „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებული პირი და რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი ტესტი:
ა) ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი;
ბ) ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი;
გ) ოსური ენის ტესტი;
დ) აფხაზური ენის ტესტი.
2. უნივერსიტეტში რეგისტრაციის გავლა.

მუხლი 4.
1. **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე** მიღება ხორციელდება „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანებისა და უნივერსიტეტის რეგულაციების („მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი“) შესაბამისად.
2. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია:
ა) საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.

2[1.] პროგრამის გავლის საფუძველი საგნის გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის გარეშე შეიძლება იყოს სტუდენტის ჩარიცხვა უსდ-ში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგნის /საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და მას დაფარული აქვს ამ პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით.

3. საგნის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდება „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანების მესამე თავის მეცხრე მუხლით გათვაისწინებული პირები. აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში.

4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით უნივერსიტეტი ჩარიცხვის წლის 1 თებერვლიდან 15 თებერვლამდე აცხადებს აპლიკანტთა მიღებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში – მართვის სისტემა) სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

5. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ აპლიკანტი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით გადის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე.

6. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოს კანომდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ, იქმნება რანჟირების დოკუმენტი. რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის პირი, რომელმაც საგნის გამოცდა და უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

7. უნივერსიტეტის რანჟირების დოკუმენტს ქმნის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოდულ(ებ)ის შესაბამისად) გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უსდ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.

8. თუ რანჟირების დოკუმენტის შექმნის პროცესში აღმოჩნდება, რომ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ აპლიკანტს, უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას მისთვის გამოყოფილი მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების დამატების თაობაზე.

9. უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

10. აპლიკანტთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო

აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

11. უნივერსიტეტში აპლიკანტის ჩარიცხვა ფორმდება, უნივერსიტეტსა და აპლიკანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები, უნივერსიტეტის მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი.

12. რექტორის ერთიანი აქტი ჩარიცხვის წლის 5 ოქტომბრამდე იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესით“ გათვალისწინებული საგანი, რომელიც წარმატებით ჩააბარა აპლიკანტმა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულა.

13. უნივერსიტეტი მართვის სისტემაში 7 ოქტომბრის ჩათვლით წარადგენს მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამის ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ ელექტრონული ფორმით.

მუხლი 5. მობილობის/შიდამობილობის წესით ჩარიცხვა:

1. მობილობის (ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლა) წესით სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება სწავლების მეორე წლიდან, ხოლო შიდამობილობა (უნივერსიტეტის ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე) სწავლების ორივე საფეხურზე დასაშვებია სწავლების მეორე სემესტრიდან. (სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, როცა სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი) წელიწადში 2–ჯერ, შესაბამისი სასწავლო წლის 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში, უნივერსიტეტის მიერ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

2. მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული: ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომში – დებულება) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ; ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი. (აღნიშნული არ ვრცელდება სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე, ასევე იმ სტუდენტებზე, რომელთაც არ ჩაუბარებიათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი..“

3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო

პროგრამებად. **დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.**

4. ის სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე 2020 წელს და შემდგომ და სურთ მობილობით სარგებლობა, უნდა აკმაყოფილებდნენ უნივერსიტეტის პროგრამის დაშვების წინაპირობებს და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ შესაბამისი საგანი (გადალახული უნდა ჰქონდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი).

5. იმ პროგრამებზე, სადაც სავალდებულოდ ჩასაბარებელ საგნად მითითებულია ისტორია/მათემატიკა, ერთ-ერთ საგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა ითვლება პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაკმაყოფილებად.

6. იმ შემთხვევაში თუ, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტს არ აქვს ჩაბარებული ის საგანი, რაც კანონმდებლობის თანახმად, დადგენილია უმაღლეს საანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სფეროების მიხედვით, უფლებამოსილია, **დარეგისტრირდეს** ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ამ საგნის/საგნების ჩაბარების მიზნით,

7. მობილობის მსურველ 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტებს, თუ 2020 წლამდე მიღებული აქვთ მონაწილეობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში და შესაბამის საგანში გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საშუალება ეძლევა მიღებული შედეგი გამოიყენონ მობილობის მიზნებისათვის.

8. 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე ჩარიცხული სტუდენტები მობილობით სწავლის გაგრძელებას შეძლებენ იმგვარად, როგორც ეს დაშვებული იყო 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე.

9. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველ სტუდენტთა სიის გამოქვეყნების შემდეგ, სტუდენტი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები.

10. უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის კანდიდატ სტუდენტთა განცხადებების რეგისტრაციის ვადა ყოველ მობილობაზე განისაზღვრება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოცხადებული მობილობის ვადების შესაბამისად რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით.

11. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ ძირითად პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ გავლილი საგანამანთლებლო პროგრამა, შესრულებეული ECTS/ ევროპული კრედიტების ტრანსფერის სიტემის/ შესაბამისად, ასეთის არარსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშოს სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსები კრედიტებით ამ წესის მე-6 მუხლის შესაბამისად.

13. უნივერსიტეტი ამ წესის მე-6 მუხლში მოყვანილი პირობების გათვალისწინებითა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგენს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე

ბრძანების პროექტს ელექტრონულად მობილობის ელექტრონულ პორტალზე. მართვის საინფორმაციო სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ.

14. სტუდენტთა მობილობა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი პირის სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტების აღიარება

1. მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი პირის სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების (სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის/სასწავლო ბარათის საფუძველზე) თავსებადობის დადგენით უნივერსიტეტის იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც სწავლის გაგრძელების სურვილი აქვს სტუდენტს, რაც დადასტურებული უნდა იყოს პროგრამის ხელმძღვანელის დასკვნითა (რომელშიც მიეთითება აღიარებული კრედიტების რაოდენობა) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

2. კრედიტების აღიარება ეფუძნება სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების უნივერსიტეტში არსებული კურსების სწავლის მიზნებისა და შედეგების თავსებადობას.

3. თავსებადი კურსები შეიძლება იყოს კრედიტების განსხვავებული მოცულობით წარმოდგენილი, ასეთ შემთხვევაში აღიარებული კრედიტების ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის პროგრამის შესაბამისად.

4. მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი პირისთვის თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით.

5. თუ მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, აღნიშნული კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად. ვინაიდან ერთი კრედიტი 25 საათის ტოლია, აქედან 10 საათი - საკონტაქტო საათები, 15-დამოუკიდებელი მუშაობის საათები. თანაფარდობა დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს შორის შეადგენს 1,5-ს. (15:10=1,5). მაგ. თუ სასწავლო კურსის მოცულობა ანუ საკონტაქტო საათების რაოდენობა შეადგენს 60 ასტრონომიულ საათს, მაშინ დამოუკიდებელი საათების რაოდენობა გამოითვლება შემდეგნაირად: ვამრავლებთ საკონტაქტო საათების რაოდენობას 1,5-ზე, ანუ 60X1,5=90. საბოლოო კრედიტის გამოსათვლელად საკონტაქტო საათების რაოდენობას (60) ვამატებთ დამოუკიდებელი მუშაობის საათებს (90), ვყოფთ ერთი კრედიტის ექვივალენტზე საათებში, ანუ 25-ზე და ვამრგვალებთ მთელ რიცხვამდე.

60+(60X1,5=90):25=6 ანუ სასწავლო კურსის დატვირთვა შეესაბამება 6 კრედიტს. (მარტივად იგივე შედეგი მიიღება, თუ ასტრონომიული საათების რაოდენობა გაიყოფა 10-ზე).

6. თუ მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შეფასება შეესაბამება 5-ბალიან სისტემას, უნდა მოხდეს აღნიშნულის უნივერსიტეტში არსებულ შეფასების სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანა შემდეგი პრინციპით:

ა) შეფასება 5/ფრიადი/პირობითად ჩაითვალოს - A- 91 (ფრიადი) შეფასებად;

შეფასება 4 /კარგი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ - B - 81 (ძალიან კარგი) შეფასებად;

შეფასება 3 /დამაკმაყოფილებელი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ - C – 71 (კარგი) შეფასებად;

ბ) თუ მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველ სტუდენტს მის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილ სასწავლო კურსში მიღებული აქვს შეფასება „ჩაეთვალა“, საკრედიტო სისტემაზე აღნიშნულის გადაყვანა არ ხდება. დიპლომის დანართში შეფასება აისახება ანალოგიურად, ანუ „ჩაეთვალა“ კრედიტების მითითების გარეშე.

~~7.~~ ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის /სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია დიპლომირებული სპეციალისტის მიერ დაგროვებული კრედიტები ჩათვალოს ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის /ვეტერინარის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნებისათვის. წინაპირობა: ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლისთვის დიპლომირებული სპეციალისტი უნდა ჩაირიცხოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8. . უნივერსიტეტში სტუდენტის საქართველოს სხვა უსდ-დან გადმოყვანა ხორციელდება III სემესტრიდან (სწავლების მეორე წლიდან). თუ რა ეტაპიდან განაგრძობს სტუდენტი სწავლას განისაზღვრება აღიარებული კრედიტების რაოდენობის მიხედვით პროგრამის სტრუქტურის შესაბამისად.

აღიარებული კრედიტების რაოდენობის მიხედვით შესაძლებელია აღდგენის/მობილობის/შიდა მობილობის მსურველ სტუდენტს სასწავლო პროცესში ჩართვისათვის სემესტრი განესაზღვროს ერთი სემესტრით წინ ან ერთი სემესტრით უკან აღნიშნულ ქვეპუნქტებში განსაზღვრული სემესტრისაგან განსხვავებით, სასწავლო პროგრამის განსაზღვრულ ვადაში დასრულების მიზნით სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

9. აღიარება ფორმდება მიმღები დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა. უნივერსიტეტში სტუდენტთა შიდა მობილობისა და მობილობის, სტუდენტის უფლებებში აღდგენის, სტუდენტის მიერ გარიცხვამდე ან სხვა უსდ-ში მიღებული ცოდნისა და კომპეტენციების აღიარების და სხვა საკითხების კოორდინაციისა და ღონისძიებების გატარების მიზნით, ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიები. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და/ან მის მიერ რეკომენდებული პირი/პირები (აკადემიური პერსონალი ან ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი);

ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;

გ) ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები.

10. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიას ევალება:

ა) სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის დამუშავება;

ბ) სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამისა და უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენა.

გ) დასკვნის მომზადება, სადაც დეტალურად უნდა იქნას ასახული:

- რამდენი კრედიტი უღიარდება სტუდენტს;
- რომელი სემესტრიდან გააგრძელებს სტუდენტი სწავლას;
- რა საგნები უნდა გაიაროს სტუდენტმა .

11[1].შიდა მობილობის შემთხვევაში კრედიტების აღიარების საფაკულტეტო დარგობრივი კომისიების/მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელის დასკვნები წარედგინება დეკანს, რომლის მომართვის საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება.

11[2]. მობილობის შემთხვევაში კრედიტების აღიარების საფაკულტეტო დარგობრივი კომისიების დასკვნების საფუძველზე უნივერსიტეტის ფაკულტეტზე მზადდება რექტორის ბრძანების პროექტი, რომელიც აისახება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე. სისტემის მიერ პორტალზე ნებადართული სტუდენტების ასახვის და დადასტურების შემდეგ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რომელიც ასევე აისახება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე. .

12. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის.

აღიარებას ექვემდებარება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კრედიტების აღიარების მიზნით უნივერსიტეტი ადგენს პირის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ამ კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

13. დაწესებულება უფლებამოსილია საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები, რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.

მუხლი 7. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

1. უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
2. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტი საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა:

1. შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტი უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში მიმართავს უნივერსიტეტს განცხადებით სტატუსის აღდგენის შესახებ;
2. შეჩერებული სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დაწყებამდე;
3. სტატუსის აღდგენა შესაძლებელია შეჩერებიდან ხუთი წლის მანძილზე.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ძალაში შესვლამდე (2010 წლის 5 თებერვლამდე) გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
5. სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ პირობით, რა პირობითაც წარმოებს სასწავლო პროცესი იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც იგი სწავლას აგრძელებს.
6. პირობების შეცვლის შემთხვევაში სტატუსის აღდგენის კანდიდატსა და უნივერსიტეტს შორის იდება ახალი ხელშეკრულება.

7. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ადმინისტრაციული აქტი.

მუხლი 9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებზე, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმას, მათ საჭიროებებზე მორგებულ აკადემიურ კალენდარს, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს;
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა;
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა/მეურვემ ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტს. სტუდენტის/მეურვის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
5. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 10. სტუდენტთა ხელშეწყობის მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაძლებელია შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება უნივერსიტეტის ალტერნატიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან სტუდენტს გონივრულ ვადაში მიეწოდება ინფორმაცია უნივერსიტეტის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ალტერნატიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები, რათა სტუდენტის მიერ მობილობის პროცესი განხორციელდეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოცხადებულ პერიოდში შეუფერხებლად.

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ) პირადი განცხადება;

გ) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

ე) შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებითა“ და „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული შემთხვევები;

ვ)საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა: კრედიტების მიღებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი, ერთი და იმავე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენის შემდეგაც F შეფასების მიღება;

ზ)სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა.

თ) გარდაცვალება;

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. „სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლის/ამოწურვის შემდეგ ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით“

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს დეკანის წარდგინებითა და რეესტრის მონაცემების საფუძველზე გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი.

6. პირს, რომელმაც არ/ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა , ეძლევა სათანადო მოწმობა.

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) აკადემიური შვებულება;

გ) ავადმყოფობა;

გ)უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანამანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტიდან წასული სტუდენტისა);

დ) ფინანსური დავალიანება;

ე)სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ვ) პირადი განცხადება.

ზ)ადმინისტრაციული (ფინანსური) და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა.
თ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;
ი) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა ჯამში 5 წელი.

3. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება სტუდენტს არ ათავისუფლებს სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.

4. პირი, რომელსაც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ეთვლება, განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში სწავლის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში.

5. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის/მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის-პირის მიერ სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში შეფასების არ მიღება აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის კანდიდატს ფაკულტეტის დეკანატისგან ეგზავნება გაფრთხილება წერილობითი სახით (შესაბამისი ინფორმაცია ასევე აიტვირთება/განთავსდება ini.ge-ze)

7. იმ სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ამ წესის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა დაიწყოს 2024 წლის პირველი მარტიდან.“ (საფუძველი: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 23 თებერვლის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშიგადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ#66/ნ ბრძანება)

მუხლი 13. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ აკადემიური შვებულებით სარგებლობა

1. სტუდენტს აქვს უფლება აიღოს აკადემიური შვებულება შემდეგ შემთხვევებში:
ა) ავადმყოფობა;
ბ) სასწავლებლად უნივერსიტეტიდან უცხოეთში წასვლა, როცა სტუდენტი სწავლას იწყებს ან განაგრძობს საგანმანათლებლო პროგრამაზე;
გ) მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო;

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განიხილოს აკადემიური შვებულების მიცემის საკითხი სხვა ისეთი ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელიც სტუდენტს ხელს უშლის სწავლის გაგრძელებაში, რაც დასაბუთებული უნდა იყოს დოკუმენტებითა და არგუმენტებით. ასეთ შემთხვევაში აკადემიური შვებულების მიცემის მიზანშეწონილობის საკითხს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით წყვეტს რექტორი.

3. აკადემიური შვებულების ვადა უნდა მოიცავდეს არანაკლებ ერთ სასწავლო სემესტრს, ხოლო აკადემიური შვებულების მაქსიმალური ვადა შეიძლება იყოს ორი სასწავლო წელი.

4. სტუდენტი, რომელსაც სურს ისარგებლოს აკადემიური შვებულებით, განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს აკადემიურ შვებულებაში გასვლის თაობაზე. სტუდენტის განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს:

ა) სტუდენტის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი;

ბ) ფაკულტეტი, პროგრამა და სწავლების წელი;

გ) ის სასწავლო წელი ან სემესტრი, რომლის განმავლობაშიც მას სურს აიღოს აკადემიური შვებულება.

დ) მიზეზი, რომლის გამოც სტუდენტი იღებს აკადემიურ შვებულებას და მისი დამადასტურებელი დოკუმენტები;

ე) განცხადების შეტანის თარიღი.

5. სტუდენტმა აკადემიური შვებულების შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს უნდა მიმართოს შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე.

6. სტუდენტის აკადემიურ შვებულებაში ყოფნა იწვევს მისი აკადემიური და ფინანსური ვალდებულებების შეჩერებას აკადემიურ შვებულებაში ყოფნის ვადით.

7. სტუდენტის განცხადება აკადემიური შვებულების შესახებ განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანი, განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს მონაცემებს სტუდენტის შესახებ (სტუდენტის ჩარიცხვის, სწავლების წელი, დაბადების თარიღი, პირადობის მოწმობის პირადი ნომერი, აკადემიური პროგრამის დასახელება, დამატებითი საჭირო ინფორმაცია) და მოსაზრებას სტუდენტის აკადემიურ შვებულებაში გაშვების საკითხის გადასაწყვეტად.

8. აკადემიური შვებულება მთავრდება შვებულებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლით ან სტუდენტის განცხადების საფუძველზე დროზე ადრე აკადემიური შვებულების შეწყვეტის შემთხვევაში.

9. აკადემიური შვებულების შეწყვეტა ხდება შესაბამისი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.

10. აკადემიური შვებულების დამთავრების/შეწყვეტის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ პირობით, რა პირობითაც წარმოებს სასწავლო პროცესი იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც იგი სწავლას აგრძელებს.

11. აკადემიური შვებულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ სტუდენტი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს მონაცემებს სტუდენტის შესახებ, შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით.

12. სტუდენტის აკადემიურ შვებულებაში ყოფნა და აკადემიური შვებულებიდან დაბრუნება ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით.

13. აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებულ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ახალი პირობებით ხელშეკრულება.

14. აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, საიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

15. იმ შემთხვევაში თუ ის სასწავლო კურსი, სპეციალობა, რომელზეც სწავლობს სტუდენტი მილევადია, ან არსებობს სხვა მსგავსი გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის დაბრუნებული სტუდენტის სწავლის გაგრძელებას იმ პირობით, რა პირობითაც იქნა ჩარიცხული და რა პირობითაც სწავლობდა აკადემიურ შვებულებაში გასვლამდე, მაშინ უნივერსიტეტი წინასწარ სთავაზობს სტუდენტს ალტერნატიულ სასწავლო კურსს, პროგრამას, ან აძლევს მას ინფორმაციას აკადემიური შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ შესაძლო მობილობის ვადების თაობაზე.

16. აკადემიური შვებულების ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტი ავტომატურად ირიცხება მომდევნო წლის სტუდენტთა სიაში და ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 14. დამატებითი სემესტრის სტუდენტი

1. სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და დაფინანსების (სემესტრული გადასახადის) ფარგლებში განმეორებით გაიაროს ცალკეული სასწავლო კურსი სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით.

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის (180-200 კრედიტი), სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის (60-120(ნაწილი 1, 60კრედიტი+ნაწილი 2, 60 კრედიტი), მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (300 კრედიტი) და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის (60 კრედიტი) განსაზღვრული კრედიტების შესასრულებლად/მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტი ითვლება დამატებითი სემესტრის სტუდენტად.

3. დაფინანსების მქონე სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების წესით დაასრულოს სასწავლო პროგრამა, დავალიანებული საგნის/ების კრედიტების შესასრულებლად.

მუხლი 15. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი

1. გაცვლითია საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

2. გაცვლითია საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელიც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დააგროვებს

კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3. უნივერსიტეტი ვალდებულია უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღოს წერილობითი ინფორმაცია აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ.

4. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს უცხო ქვეყანაში აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე.

5. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს უნივერსიტეტში, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. დაუშვებელია გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება და ამ პერიოდში იგი თავისუფლდება სწავლის საფასურისგან.

7. უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების მონაწილე, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მყოფი უნივერსიტეტის სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს და უცხოეთის უსდ-ში დაგროვილი კრედიტების აღიარების მოთხოვნით.

8. სტუდენტის განცხადებაში უნდა მიეთითოს: უცხოური უსდ-ს დასახელება, ფაკულტეტი, სპეციალობა (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამა), სწავლის პერიოდი, გავლილი სასწავლო კურსები (მოდულები), მიღებული შეფასებები, მინიჭებული კრედიტები (მათი არსებობის შემთხვევაში), ან სასწავლო კურსების მოცულობა (საკონტაქტო საათების რაოდენობა).

9. სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები და მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.

10. სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის თაობაზე უნივერსიტეტი აცნობებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. პარალელურად სტუდენტმა უნდა მიმართოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარების მოთხოვნით.

11. საზღვარგარეთ სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარება შესაძლებელია მოხდეს უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარების თაობაზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დასკვნის საფუძველზე.

12. იმ შემთხვევაში, თუ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა არ აღიარა უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტები, სტუდენტი უნივერსიტეტში სწავლას გააგრძელებს გაცვლით პროგრამამდე სწავლის საფეხურიდან.

13. ბოლონიის პროცესის წევრი უცხოური უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთან ე.წ. სასწავლო ხელშეკრულების (learning agreement) გაფორმებას და სწავლის დასრულების შემდეგ მისთვის ე.წ. ნიშნების ფურცლის (Transcript of records) გაცემას ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული სპეციალური ფორმების შესაბამისად. ამ შემთხვევაში სტუდენტი წარმოადგენს სასწავლო ხელშეკრულებას და ნიშნების ფურცელს, რომელშიც მითითებული იქნება მის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების სახელწოდება, კრედიტების რაოდენობა და მიღებული შეფასება.

14. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური უსდ ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულებითა და ნიშნების ფურცლით, მაშინ სტუდენტს უნდა მიეცეს შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურის და პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმებული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება: მის მიერ გავლილი სასწავლო კურსები/მოდულების სახელწოდება, ECTS კრედიტები და მიღებული შეფასება.

15. თუ უცხოური უსდ იყენებს არა ECTS კრედიტებს, არამედ სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების განსხვავებულ სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური უსდ-ს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება ამ სისტემის შესაბამისობა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS).

16. თუ უცხოური უსდ-ს არ გააჩნია სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების სისტემა, მაშინ სტუდენტის ნიშნების ფურცელში (სასწავლო ბარათში, ან სწავლის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტში) მითითებული უნდა იყოს თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის მოცულობა (სემესტრული საკონტაქტო საათები). აღნიშნულ კურსებს ენიჭება პირობითი კრედიტები.

17. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური უსდ იყენებს შეფასების არა 100-ქულიან, არამედ განსხვავებულ სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური უსდ-ს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც განმარტებული იქნება შეფასების ეს სისტემა და მისი შესაბამისობა შეფასების 100 ქულიან სისტემასთან.

18. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური უსდ-ში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს არა ქულებს, არამედ შეფასების აღმნიშვნელ ლათინურ ასოებს (A, B, C, D, E, A+, A, A- და სხვა.) ან სიტყვიერ განსაზღვრებას (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, დამაკმაყოფილებელი) და არ არსებობს ამ სისტემის განმარტების ოფიციალური დოკუმენტი, მოცემული სისტემის გადაყვანა უნივერსიტეტში მოქმედ სისტემაზე მოხდეს შემდეგი წესით:

A+	ფრიადი	100
A	ფრიადი	95
A-	ფრიადი	91
B+	ძალიან კარგი	90
B	ძალიან კარგი	85
B-	ძალიან კარგი	81
C+	კარგი	80
C	კარგი	75
C-	კარგი	71

D+	დამაკმაყოფილებელი	70
D	დამაკმაყოფილებელი	65
D-	დამაკმაყოფილებელი	61
E+	საკმარისი	60
E	საკმარისი	55
E-	საკმარისი	51

13. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური უსდ იყენებს აღნიშნული დადგენილების მე-12 პუნქტში მითითებული შეფასების სისტემისაგან განსხვავებულ სისტემას, კომისია უფლებამოსილია, დაადგინოს მისი შესაბამისობა უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემასთან.
14. უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის მონაწილე და/ან უცხოურ უსდ-ში დროებით სასწავლებლად წასული სტუდენტის მიერ უცხოურ უსდ-ში გასავლელი სასწავლო კურსები წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან) და ან/კომისიასთან.
15. უნივერსიტეტის საერთაშორისო პროექტების კოორდინატორი /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულებას ადასტურებს ხელმოწერით. სტუდენტს წერილობით ეცოდინება, რომ უცხოურ უსდ-ში გავლილი კურსების თავსებადობას უნივერსიტეტის კურიკულუმთან და სტუდენტის მიერ არჩეულ ძირითად და დამატებით პროგრამებთან დაადგენს კომისია.
16. უცხოურ უსდ-ში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარება ხდება კრედიტების აღიარების რეგულაციის შესაბამისად.
17. გამონაკლისის სახით, სტუდენტის მიერ უცხოურ უსდ-ში მიღებული ე.წ. „არადიფერენცირებული „ჩათვლა“ შეიძლება აღიარებული იქნას კომისიის მიერ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება, რომ უცხოურ უსდ-ს აღნიშნულ სასწავლო კურსში დიფერენცირებული (ქულობრივი) შეფასება არ გააჩნია. ამ შემთხვევაში ე.წ. „არადიფერენცირებული ჩათვლას“ ენიჭება პირობითი ქულა.
18. გამონაკლისის სახით, კომისიამ შეიძლება აღიაროს სტუდენტის მიერ უცხოურ უსდ-ში გავლილი ისეთი სასწავლო კურსი, რომელსაც არ ითვალისწინებს უნივერსიტეტის კურიკულუმი, მაგრამ რომელიც მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სტუდენტის სამომავლო კვალიფიკაციისა და პროფესიული განვითარებისათვის.

მუხლი 16. სწავლის საფასური:

1. უნივერსიტეტში სწავლის საფასური განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიური საბჭოს დადგენილებით.
2. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

3. აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება აღდგენის პერიოდისთვის შესაბამის პროგრამაზე უნივერსიტეტში არსებული ტარიფით.
4. სტატუსშეჩერებულმა სტუდენტმა აღდგენის შემთხვევაში უნდა განაახლოს ხელშეკრულება სსაწავლო უნივერსიტეტთან. სწავლის საფასური ამ შემთხვევაში განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას არსებული ტარიფით.
5. მობილობის/შიდამობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხული სტუდენტის სწავლის საფასურის ოდენობა (კრედიტის ღირებულება) რეგულირდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი თავისუფლდება სწავლის საფასურისგან გაცვლითი საგანამანთლებლო პროგრამის ვადებში (ერთი სემესტრი).
7. დამატებითი სემესტრის სტუდენტს, ასევე იმ სტუდენტს, რომელსაც უწევს დამატებითი (განსხვავებული) კრედიტების გავლა, სწავლის საფასური აღნიშნულ კრედიტებზე განესაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით დეკანატის წარდგინების საფუძველზე წლიური გადასახადის შესაბამისად.
8. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას (სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში. აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, რის შემდეგაც დაუშვებელია მომსახურების მიუღებლობის მოტივით გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გადატანის მოთხოვნა).

მუხლი 17. სტუდენტისა და მსმენელის უფლება–მოვალეობანი:

სტუდენტის და მსმენელის უფლება–მოვალეობანი განისაზღვრება ,,უნივერსიტეტის სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულების“ წესით.

მუხლი 18.აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. საგანმანათლებლო პროგრამის სათანადო საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება აკადემიური ხარისხი და გაიცემა შესაბამისი დიპლომი. ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიურ ხარისხს (კვალიფიკაციას) ანიჭებს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ

ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს სტუდენტების კურსდამთავრებულებად ჩათვლისა და მათზე დიპლომების გაცემის შესახებ.

2. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

3. უნივერსიტეტში დიპლომების გაცემა რეგულირდება „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომის ფორმის გამოსაყენებლად შემოღების, აღრიცხვა–ანგარიშგებისა და გაცემის წესის“ თანახმად.

4. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა/ცნობა.

5. ,,ქართულ ენაში მომზადებისა“ და ,,მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ გაიცემა პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

მუხლი 19. შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

1. უნივერსიტეტის სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ **საბოლოო შეფასებას.**

2. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტში უნდა მოიცავდეს **შუალედურ** და **დასკვნით** შეფასებას.

3. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული კურსის სილაბუსში და უნდა ეცნობოს სტუდენტს სემესტრის დასაწყისში.

4. შუალედური შეფასების ხვედრითი წილი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 70%-ს, ხოლო დასკვნითი შეფასების არანაკლებ - 30%-ს. თითოეული კომპონენტის ხვედრით წილს ადგენს სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელი;

5. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

6. შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

7. სტუდენტის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შეადგენს შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულის 30%-50%, რომელსაც განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად.

8. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს, რომელსაც განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად.

9. შეფასების თითოეული კომპონენტი (დასკვნითი და შუალედური) მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, რომელსაც სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ირჩევს ინდივიდუალურად.

10. შეფასების მეთოდების რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები.

11. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი საშუალება/საშუალებები-შეფასების მეთოდები: ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოფენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა;

12. შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რითაც დგინდება სწავლის შედეგის მიღწევის დონე.

13. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

14. შეფასების თითოეულ მეთოდს გააჩნია თავისი წილი შუალედური შეფასების ფარგ-ლებში.

15. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

16. დასკვნითი გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა, გარდა დარგის/სასწავლო კურსის სპეციფიკით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დასკვნით წერით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებით დაგროვილი აქვს შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

17. დასკვნითი შეფასების კომპონენტი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დასკვნით წერით გამოცდაზე დააგროვებს მინიმალური ზღვრით გათვალისწინებულ ქულას.

18. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დასკვნითი გამოცდა, ასევე, შეიძლება, იყოს კომბინირებული და შეიცავდეს წერით და ზეპირ კომპონენტებს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისთვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს, თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (განისაზღვრება სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ)

11^3 საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

12. სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასე-ბისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის (30-40 ქულა) გათვალისწინებით სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება კანონ-მდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

13. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისათვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

14. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის დასრულებისათვის სტუდენტს განუსაზღვროს არაუმეტეს 2 სემესტრისა, ხოლო შეფასება უნდა დასრულდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

15. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - 91-100 ქულა

ბ.ბ)(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

ა.დ)(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩაბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

16. შუალედური და დასკვნითი გამოცდები უნივერსიტეტში ტარდება წერილობითი ფორმით უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მეშვეობით ამავე ცენტრის დებულების შესაბამისად. დასაშვებია გამოცდების ჩატარება ზეპირი ფორმით სალექციო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

17. კურსის ხელმძღვანელები ინდივიდუალურად ადგენენ შეფასების კრიტერიუმებს პროგრამისა და სალექციო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მუხლი 20. გამოცდების შედეგების გასაჩივრება

1. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას (მიმდინარე შეფასება, შუასემესტრული/დაკვნითი/დამატებითი გამოცდა, ტესტირება, თემატური სემინარი, სამაგისტრო/საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის, საკურსო პროექტის/სამუშაოს, თემატური პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა და სხვა სახის გამოცდა/ტესტირება/ შეფასება), უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან არა უგვიანეს სამი დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

2. საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრების პროცედურებს არეგულირებს „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარებისა და გამოცდების გასაჩივრების წესი“

3. სასწავლო კურსის განმხორციელებელთან და სტუდენტთან წინასწარ განხილვის შედეგად შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საჩივარს განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს რექტორის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია. კომისიის დასკვნის

საფუძველზე დეკანი იღებს გადაწყვეტილებას ან უზრუნველყოფს საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვას.

4. დეკანის/ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:
ა)მოთხოვნილი შეფასების დადასტურება;
ბ განმეორებითი შეფასება იგივე პირობებში;
გ) განმეორებითი შეფასება საკომისიო წესით;
დ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი.

5. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით“ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ნიშნები, საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი დისციპლინარული წარმოების განმახორციელებელ ორგანოს.

6. თუ სტუდენტი მიმდინარე შეფასებაზე, შუასემესტრულ ან/და დასკვნით/დამატებით გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზით, მას უფლება აქვს შეფასების/გამოცდის აღდგენის თაობაზე წერილობითი განცხადებით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს აღნიშნული მიზეზის აღმოსაფხვრელად არაუგვიანეს 15 დღისა.

7. სტუდენტი ვალდებულია შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ განცხადებას დაურთოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები. სტუდენტმა, აგრეთვე უნდა წარმოადგინოს თავისი ელექტრონული უწყისების ამონაკრები (ამობეჭდილი აკადემიური მოსწრების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის სტუდენტის გვერდიდან).

8. სემესტრის დაწყებიდან პირველი 6 კვირის განმავლობაში ჩატარებული მიმდინარე შეფასებების აღდგენა უნდა დასრულდეს შესაბამის სასწავლო კურსში შუასემესტრულ გამოცდამდე, შუასემესტრული გამოცდის აღდგენა უნდა დასრულდეს სესიების დაწყებამდე, მე-7 – მე-15 კვირების მიმდინარე შეფასებების აღდგენა – შესაბამის დასკვნით გამოცდებამდე, ხოლო დასკვნითი/დამატებითი გამოცდის აღდგენა – შემდეგი სემესტრის დასრულებამდე, დეკანატთან/საგამოცდო ცენტრთან/სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან/პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე.

9. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის წესები ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისათვის. ამ მიზნით იგი განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდებზე.

10. უნივერსიტეტის ფაკულტეტის მიერ შექმნილი სააპელაციო დარგობრივი კომისია (უმოკლეს ვადაში) საჩივრის მიღებიდან 15 დღიან ვადაში განიხილავს საჩივარს და იღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას საჩივართან დაკავშირებით.

11. დაუშვებელია სააპელაციო დარგობრივი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გაუარესდეს სტუდენტის შეფასება.

მუხლი 21.კრედიტების დათვლისა და მინიჭების წესი

1. ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25-30 საათის განმავლობაში. კრედიტის დათვლისას მხედველობაში მიიღება, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები.

2. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 და არაუმეტეს 200 კრედიტი, ხოლო მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად - 60 კრედიტი ან არანაკლებ 120 კრედიტს, რომელიც აერთიანებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 60-კრედიტიან ნაწილებს.
3. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 300 კრედიტი
4. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ვეტერინარიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 300 კრედიტი
5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამისი მიმართულების/საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის სერტიფიკატის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი.
6. სტუდენტის ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა მოიცავს 60 კრედიტს.
7. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 კრედიტს.
8. კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

მუხლი 22. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფლებამოსილია საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით;
2. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი არის სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა;
3. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 კრედიტს.

მუხლი 23. შეფასების სისტემის ცხრილი:

1. ქულების განაწილების სქემა

ECTS შეფასება	ქულა	შეფასების აღწერა
A	91 _100	**ფრიადი.** სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული.

		სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.
B	81 –90	**ძალიან კარგი**. სასწავლო კურსის ყველა კომპონენტების მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.
C	71 _ 80	**კარგი.** სასწავლო კურსის კომპონენტების მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.
D	61 _ 70	**დამაკმაყოფილებელი**. სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას, შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას.
E	51 _ 60	**საკმარისი.** სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობებს.
FX	41 _ 50	**ვერ ჩააბარა.** სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ვერ ავლენს საგნის თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ვერ მსჯელობს საგნის საკითხების შესახებ.
F	0 _ 40	**ჩაიჭრა.** მიუხედავად გამოცდაზე დაშვებისა (დაგროვილი აქვს 31 ქულა), სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო პროგრამა.

2. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დამატებითი გამოცდისათვის დადგენილ ვადებში. აღნიშნული არ ვრცელდება საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომის მიმართ.

3. სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი;

4. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

5. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში;

6. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა და მან თავიდან უნდა გაიაროს საგანმანათლებლო პროგრამის აღნიშნული კომპონენტი;

7. **სტუდენტის შეფასება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში:** უნივერსიტეტი უფლებამოსილია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, დაადგინოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების ვადები.

8. აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

9. უფლებამოსილია განსაზღვროს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის, ან სხვასამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობები, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესიის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს.

10. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის FX შეფასების მიღების შემთხვევაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს/მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ ვადაშიც F შეფასების მიღების შემთხვევაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი/მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

11. თუ სტუდენტს დავალიანება აქვს იმ სასწავლო კურსში, რომელიც მომდევნო სემესტრში გასავლელი სასწავლო კურსის წინაპირობას წარმოადგენს, მას არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა აღნიშნული (გასავლელი) სასწავლო კურსის კრედიტების მოსაპოვებლად განხორციელებულ სასწავლო პროცესში.

მუხლი 24. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები

1. უნივერსიტეტში სტუდენტების მხარდაჭერა ხორციელდება „შოთა მეხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების“ შესაბამისად.

2. უნივერსიტეტში მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტებისთვის მოქმედებს შემდეგი სახის მხარდაჭერის მექანიზმები:

ა) სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი, რომელიც შეიძლება განესაზღვროს სტუდენტს ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

ბ) მოწყვლად სტუდენტზე შესაძლოა გაიცეს ერთჯერადი სოციალური დახმარება

აღნიშნული პირობები შეიძლება გავრცელდეს სტუდენტზე, რომელიც

- არის ობოლი;
-მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე
-დევნილი,
- მისი ოჯახი დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში;
- ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის პირთა შვილების/ოჯახის წევრების შემთხვევაში:
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების შემთხვევაში:
- სტუდენტი არის ავად და მკურნალობა დაკავშირებულია დიდ ფინანსურ ხარჯებთან;
- არის მრავალშვილიანი ოჯახიდან (ოჯახის მინიმუმ სამი წევრი არასრულწლოვანია);
- უნივერსიტეტის სახელით აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის გარეთ გამართულ ღონისძიებებში.
-უნივერსიტეტში სწავლობს ოჯახიდან ორი და მეტი წევრი

მუხლი 25. სტუდენტთა წახალისების მექანიზმები

1. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის ხელშეწყობის მიზნით სასწავლებელი ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივ ან სრულ დაფინანსებას. ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა შესაბამისი ბრძანება,

მუხლი 26. სტუდენტთა სტიპენდიის დანიშვნის წესი და კრიტერიუმები

1. უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტზე გაიცემა სახელმწიფო, შოთა მესხიას სახელობის და საფაკულტეტო სტიპენდია.
2. სტუდენტთა სტიპენდიის დანიშვნის წესი და კრიტერიუმები რეგულირდება უნივერსიტეტის „სტუდენტისთვის სტიპენდიის გაცემის წესის“ შესაბამისად.

მუხლი 27. რეკომენდაციები სტუდენტთა დასაქმებისა ან შემდგომი აკადემიური მიზნებისათვის

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანს, აგრეთვე ნებისმიერი სასწავლო კურსის განმახორციელებელს შეუძლია გასცეს რეკომენდაცია სტუდენტის/კურსდამთავრებულის მოთხოვნის საფუძველზე,

მუხლი 28. რეესტრი

ა) სტუდენტთა რეესტრი

1. უმაღლესი განათლების მიმართულებით არსებული ვალდებულებების შესრულებისას შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის N90/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესი და პირობების" შესაბამისად.
2. რეესტრში აისახება ინფორმაცია უნივერსიტეტის, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, ამ პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ.
3. ინფორმაცია რეესტრში შეიტანება შესაბამისი აქტის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.
4. რეესტრის მიზანია ზუსტი, დროული და რელევანტური ინფორმაციის ასახვის უზრუნველყოფა
5. უნივერსიტეტს ყავს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის სისტემაში დადგენილ ვადაში ასახვა
6. სისტემაში ინფორმაციის დროულად შეუტანლობა ან არასწორად/არასრულად ასახვა შეიძლება გახდეს სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ განსახორციელებელი მოქმედების შეჩერების ან ამ მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველი.
7. სისტემაში ასახული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე პასუხისმგებელია ამ ინფორმაციის აღნიშნულ სისტემაში ასახვის ვალდებულების მქონე სუბიექტი/რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.
8. სისტემაში ასახული ინფორმაციის მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია.
9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივ აქტებში ასახულ ინფორმაციასადასისტემაში ასახულ შესაბამის ინფორმაციას შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, გაითვალისწინება სისტემის მონაცემები.
10. დაუშვებელია ავტორიზებული მომხმარებლის მიერ მომხმარებლის სახელის და პაროლის გადაცემა სხვა პირებზე. უსაფრთხოების აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელი პასუხისმგებელია არაავტორიზებული წვდომით მიღებულ შედეგზე.
11. რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)ი ინიშნება რექტორის ბრძანებით.
12. სისტემის ინფორმაციის ხედვისა და ინფორმაციის/მონაცემის ასახვის რედაქტირების უფლება პასუხისმგებელ პირს წარმოეშობა უნივერსიტეტის მიერ მართვის სისტემისათვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
13. რეესტრის წარმოებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

მუხლი 29. ძირითადი ცნებები/ტერმინების განმარტება

❖ **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შეასაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

კრედიტი მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს, ის არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით;

❖ **ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS)** - სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლება-სწავლის პროცესის და სწავლის შედეგების შეფასების გამჭვირვალე მიდგომების დანერგვასა და განხორციელებას. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, განხორციელებასა და სწავლის შედეგების შეფასებას, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების, ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების აღიარებას, ასევე სტუდენტთა მობილობის პროცესს;

❖ **საკონტაქტო საათი** - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

❖ **დამოუკიდებელი საათი** - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო.

❖ **სასწავლო კვირა** - დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კვირაში. სასწავლო კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური ოდენობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 45 საათს;

❖ **სემესტრი** - დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს;

❖ **საგანამანათლებლო პროგრამის კომპონენტი** - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;

❖ **სასწავლო კომპონენტი** - საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის/საგნის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პრაქტიკული სახის პროექტის/ნაშრომის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით. ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი;

❖ **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** - მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამგისტრო პროექტის/ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო/აქტივობის სახით;

❖ **სტუდენტის სასწავლო დატვირთვა** - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

❖ **სწავლება-სწავლის მეთოდი** - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა: **ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ.** სწავლება-

სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);

❖ **შეფასების კომპონენტები** - შეფასების **კომპონენტებია შუალედური შეფასება** (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და **დასკვნითი შეფასება,** რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

❖ **შეფასების მეთოდი** - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები **(ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოფენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა);**

❖ **შეფასების კრიტერიუმი** - შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე;

❖ **„მოდული“** - სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე სასწავლო კურსებს/საგნებს. მოდულში განსაზღვრულია სასწავლო კურსთა/საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;

❖ **„GPA (Grade Point Average)“** - სტუდენტის აკადემიური მიღწევების შეწონილი ქულა - სტუდენტის საშუალო აკადემიური მაჩვენებელი. **GPA** გამოითვლება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საშუალო აკადემიური მაჩვენებლის (**GPA-ს**) დაანგარიშების წესის მიხედვით. **GPA-ს** მაჩვენებელი არ ზღუდავს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებას ან /და მისთვის აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) მინიჭებას.

მუხლი 30. სასწავლო პროცესის ვადები

1. სასწავლო პროცესის ვადები ყოველწლიურად განისაზღვრება რექტორის ადმინისტრაციული აქტით სასწავლო წლის დასაწყისში.
2. ერთი აკადემიური წლის ხანგრძლივობა არდადეგების ჩათვლით არ აღემატება თორმეტ უწყვეტ კალენდარულ თვეს, განისაზღვრება 52 კვირითა და ორი სემესტრით (საშემოდგომო და საგაზაფხულო)
3. ერთი სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას, მათ შორის: 16 სასწავლო კვირა შუალედური ერთი კვირის ჩათვლით, ძირითადი და დამატებითი გამოცდების ოთხი კვირა.
4. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სასწავლო პროცესის ვადაზე ადრე/გვიან დაწყება/დასრულება/შეჩერება განისაზღვროს რექტორის ადმინისტრაციული აქტით.

მუხლი 31. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე წესში შეიძლება შევიდეს ცვლილებები და დამატებები აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების დადგენილებებით.

მუხლი 32. გარდამავალი დებულებები

1. სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო პროგრამებზე წარიმართოს შერეული სწავლების ფორმით-პირისპირ სწავლებისა და დისტანციური სწავლების კომბინაციით

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვით.

2. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები წარიმართოს არადისტანციურ რეჟიმში, ხოლო სასწავლო პროცესის სხვა კომპონენტები წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში ან ფაკულტეტის საბჭოს დადგენილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.

3. ელექტრონული/დისტანციური სწავლების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმას (წერილობითი/ზეპირი) ირჩევს ინდივიდუალურად სასწავლო კურსის ხელმძღვანელი.

ბ)თუ სილაბუსით განსაზღვრულია შუალედური შეფასების კომპონენტებით წერითი ნაშრომი, აიტვირთოს Turnitin-ის პროგრამაზე და ჩაითვალოს შუალედურ გამოცდად.

გ)ზეპირი გამოცდა ჩატარდეს კურსის ხელმძღვანელის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული კომპონენტების ფარგლებში ინდივიდუალურად შერჩეულ პლატფორმაზე ჩაწერის გზით, როგორც მტკიცებულება. შერჩეული კომპონენტის ქულათა რაოდენობა გაუთანაბრდეს შუალედური გამოცდის ქულათა რაოდენობას, მრავალკომპონენტიანობის პრინციპის დაცვით (არანაკლებ სამი კომპონენტი).

დ) შეფასების კომპონენტებს შორის ქულების გადანაწილება განხორციელდეს სასწავლო კურსის ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ. განხორციელებული ცვლილებები არ აისახოს სილაბუსებში.

ე) იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც შეფასების კომპონენტი ფორს მაჟორ სიტუაციაში ვერ შესრულდება ელექტრონულად/დისტანციურად, დაიგეგმოს შუალედური გამოცდა არა უგვიანეს დასკვნითი გამოცდების წინა კვირისა.

4. უნივერსიტეტში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკა განხორციელდეს როგორც დისტანციურად, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე პირისპირ შეხვედრების რეჟიმში რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად ჯანდაცვის რეკომენდაციების სრული დაცვით.

5. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვა განხორციელდეს შერეულად (დისტანციურად - საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში - ჯანდაცვის რეკომენდაციების სრული დაცვით).

6. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ლაბორატორიული სამუშაოები და დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს შერეულად როგორც დისტანციურად, ისე პირისპირ, ჯანდაცვის რეკომენდაციების სრული დაცვით.

„გარდამავალი დებულებები“ წარმოადგენს წინამდებარე წესის განუყოფელ ნაწილს.

სერგო ჭელიძის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL SHOTA MESKHIA ZUGDIDI STATE UNIVERSITY